მურმან ბლიაძე, მურმან ბლიაძე

საქართველოში ტურიზმის განვითარების ტენდენციები. სამეგრელო-ზემო სვანეთი

მურმან ბლიაძე
სტუ-ს პროფესორი

მურმან ბლიაძე
სტუ-ს მაგისტრი

რეზიუმე

ტურიზმის ინდუსტრია გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ინდუსტრია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ის ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებას, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. მდგრადი ტურიზმის მართვა დღევანდელ მსოფლიოში მატებს ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის მნიშვნელოვან პარამეტრს.

ტურიზმი დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით მოგზაურობას ნიშნავს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით. შენდება მოგზაურთა დროებით გასაჩერებელი სახლები,სასტუმროები, ქარვასლები, სტუმრის სახლები, ელიტარული ფენების წარმომადგენელთათვის საზაფხულო აგარაკები, რეზიდენციები. მოსახლეობის იმ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს, ვინც ცნობისმოყვარეობისათვის მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, XVII საუკუნის მიწურულიდან ტურისტებს უწოდებდნენ.

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, XVIII-XIX საუკუნებში გამოგონებულ იქნა ორთქლმავალი და მატარებელი, რამაც არსებითი ზეგავლენა იქონია მოგზაურობის გააქტიურებაზე. პოპულარული ხდება მოდების მოყვარულთა გამგზავრება პარიზში, მუსიკის მოყვარულთა - იტალიაში, ხოლო ევროპის სხვადასხვა ქალაქებში სასწავლებლად გამგზავრებამ დიდი ტურის სახელი მიიღო. სწორედ ამ პერიოდში,1841 წელს ინგლისელმა სასულიერო პირმა თომას კუკმა პირველად გაუწია ჯგუფის გამგზავრებას კომერციული მომსახურება. ორგანიზებული ჯგუფური ტური, რომელშიც შედიოდა 20 წუთიანი მგზავრობა რკინიგზით, ჩაის, ფუნთუშების და სასულე ორკესტრის თანხლებით. გზაში ექსკურსია მძღოლის ფუნქცია თავად კუკმავე იკისრა. ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო 450-მა ადამიანმა და თითოეულისთვის 1 შილინგად ფასობდა. კუკის ეს ქმედება ემსახურებოდა უფრო სოციალურ მიზნებს ვიდრე კომერციულს. ის მიისწრაფოდა ამ ქმედებით ეჩვენებინა, რომ შეიძლება თავისუფალი დროის მიზანშეწონილად გამოყენება. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი ორგანიზებული, კომერციული ტურიზმის პირველ ნაბიჯადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში დღესაც არსებობს ეს ტურისტული ფირმა სახელწოდებით ''თჰომას ჩოოკ ანდ შონ,,

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ავტომობილის გამოგონება, თუმცა პირველ მსოფლიო ომამდე ტურისტთა ძირითადი ნაკადი მაინც სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტით სარგებლობდა. 20-30-იან წლებში ჩნდება ტრანსპორტის კიდევ ერთი ეფექტიანი საშუალება - თვითმფრინავი, რაც აძლიერებს ტურისტულ აქტივობას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა. 1950 წელს, საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 25 მილიონს აღწევს, 1970წელს — 170 მილიონს, 1990 წელს — 400 მილიონს. ამჟამად თითქმის ყველა ადამიანი მეტნაკლებად ჩაბმულია ტურისტულ საქმიანობაში. XX საუკუნის ბოლოს მთელ მსოფლიოში 4,5 მილიარდი ტურისტი მოგზაურობდა, მათ შორის 10% საერთაშორისო ტურისტები იყვნენ და ყოველწლიურად ხარჯავდნენ 100-150 მილიარდ აშშ დოლარს. ტურისტული მოგზაურობის გეოგრაფია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საერთაშორისო ტურისტების 2/3 ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს. შემდეგ ყველაზე პოპულარული რეგიონია ამერიკა, რომლის წილად მოდის ტურისტების 20%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებზე მოდის 10%, აფ-

რიკაზე 3%.

ტურიზმი წლების განმავლობაში ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი იყო და მთავრობის მხრიდან მისი მასტიმულირებელი არაერთი ღონისძიება გატარებულა. ტურიზმს, მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის, ვინაიდან საქართველო გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, ისტორიული შენობა-ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტითა და სტუმართმოყვარე ხალხით.

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს XX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართელოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80 წლებში, თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. საქართველოს გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო ამჟამად აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისის მახლობლად,დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.ქვეყანაში 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძურია, რომელიც დღითიდღე, თანდათანობით იზრდება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, ამჟამად კი 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია, კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებშია. საქართველოს წრმომადგენლობა გადის ქვეყნის გარეთ, საიდანაც უფრო მეტი ინფორმაციის გავრცელება ხდება საქართველოზე. რის შედეგადაც საქართველოში იმატებს ტურისტების რაოდენობა. მაგალითად.: 1998 წელს საქართველოს წარმომადგენლობის გახსნა მოხდა ისრაელში, ტელ-ავივში. ამავე წელს თბილისში ჩატარდა "დიდი აბრეშუმის გზის" ტურიზმის მსოფლიო ფორუმი, 2003 წელს კი თბილისში მოხდა მეოთხე საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის გახსნა.

ტურიზმის ინდუსტრიის აქტუალურობა იზრდება მისი დინამიკის თვისებრიობიდან გამომდინარე. თანამედროვე სახით მის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნეში და აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიკური, სოციალურ კულტურული, კულტურათა ინტეგრაციის, გარემოსდაცვითი და სხვა მიმართულებებით. იმისთვის, რომ ტურიზმის ინდუსტრია იყოს მდგრადი მომავალში, მნიშვნელოვანია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება დღეს.

ტურიზმს, ისე როგორც სხვა ეკონომიკურ სექტორს სტაბილურად განვითარებისათვის სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე ლოკალური, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმში პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ტურიზმის პოლიტიკის სხვადასხვა განმარტებებია მოცემული, გელდნერის და რიტჩის (ჩარლეს ღ. ოლდნერ, ჯ. ღ. რენტ ღიტცჰიე) მიხედვით იგი არის გარკვეული წესების, რეგულაციების, დირექტივების, სტრატეგიების, აქტივობების ნაკრები, რომელიც აუცილებელია დანიშნულების ადგილის განვითარებისა და კონკურენტული

უპირატესობის მოპოვებისათვის. ედგელი და სვანსონი (ავიდ . დგელლ, ჯასონ ღ. შწანსონ) ყურადღებას ამახვილებენ მარკეტინგზე, დაგეგმვაზე, მდგრად განვითარებაზე. მათი აზრით ტურიზმის პოლიტიკა წარმოადგენს პროგრესულ კურსს, რომელიც მოიცავს მოქმედებებს, მიმართულებებს, დირექტივებს, პრინციპებს და პროცესებს, რომელიც მოქცეულია ეთიკურ ჩარჩოში და ფოკუსირებულია საზოგადოებაზე, რომელშიც მოქმედებების დაგეგმვით, განვითარებით, საქონლისა და მომსახურების წარმოებით, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით უნდა მოხდეს დანიშნულების ადგილის განვითარება . პოლიტიკა, მისი თვისებრივი ხასიათიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებზე, როგორიცაა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, ტურისტები, ტურიზმის ინდუსტრიის ოპერაციული სექტორები: განთავსება, ატრაქციები, კვების სერვისები, სატრანსპორტო, ტურისტული სერვისები, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები და ა.შ. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სტეიკჰოლდერებისათვის ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, რომელშიც შესაძლებელი იქნება მაქსიმალური სარგებლის მიღება და ნეგატიური ეფექტების შეზღუდვა. პრაგმატული პოლიტიკის ჩამოყალიბებით შესაძლებელია ტურიზმის ინდუსტრიის იმ სიკეთეების წინ წამოწევა, რომელიც აუცილებელია რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული სიკეთეები სხვადასხვა მაჩვენებელში გამოიხატება, როგორიცაა რეზიდენტების შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გადასახადების გენერირება, უცხოური ვალუტის შემოდინება და ა.შ. რომელიც სტიმულს აძლევს საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვა მომიჯნავე სექტორებში.

ტურისტული დანიშნულების ადგილის პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესების გაანალიზება როგორც მსოფლიო, ასვე ცალკეული რეგიონების მიხედვით. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოდგენილია ტურიზმის ინდუსტრიის შემდეგი მიმდინარე ტენდენციები:

•თანამედროვე ეპოქაში განსხვავებულია ტურისტის თვისებრივი მახასიათებლები: ის არის გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი, მომთხოვნი, ფიზიკურად და ინტელექტუალურად მეტად აქტიური, იზიდავს მაღალხარისხიანი სანახაობები და მომსახურება.

• განსხვავებულია თანამედროვე ტურისტის მოთხოვნილებები. შესაბამისად, მზარდია ახალ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპორტული ღონისძიებები, რეკრეაცია, გამაჯანსაღებელი კურორტები, აბაზანები, ტრადიციული მედიცინა, ეკოტურიზმი. მეტი ტურისტი მოითხოვს სპეციფიკურ პირობებს. ხშირ შემთხვევაში, სურს დასვენებისას დაკავდეს ჰობით.

• პოპულარულია ტრადიციული დასვენების ფორმები: „სიძველეებთან შეხება", ისტორიის, რელიგიათა შესწავლა, ბუნების, კულტურული და სათავგადასავლო ტურები, ასევე ფართოვდება ბიზნეს-მოგზაურთა რაოდენობა.

• ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ხშირ, მაგრამ მოკლევადიან დასვენებას. ამავე დროს, მოინახულებენ მეტ ტურისტულ ობიექტს წლის ყველა სეზონში; იზრდება ხანდაზმულების, უნარშეზღუდულების, აქტიური ინდივიდების დაინტერესება ტურისტული პროდუქტით.

• თანამედროვე ტურისტი მეტად მგრძნობიარეა, დიზაინის, არაეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული ხარვეზების მქონე, ასევე არასწორად დაგეგმილი ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმართ, რაც იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

•მომხმარებლის და მოთხოვნის ცვლილებებთან ერთად იცვლება ტურისტული კომპანიების მართვის სპეციფიკაც. სარგებლის ოპტიმიზაციის მიღწევა შესაძლებელია გარემოსთან ადაპტაციით, სწორი დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის მაღალი ხარისხის საშუალებით, რომელიც არ ქმნის ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. აუცილებელი ხდება ძველი ტურისტული კურორტების მოდერნიზება - გაახლება, რათა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს.

• ტურიზმის სექტორში იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით – ლოჯისტიკის სისტემის, ონლაინ რეზერვაციის, მარკეტინგის, კერძოდ, ინტერნეტ–

მარკეტინგის მიმართულებით, ტურიზმის ინდუსტრია წარმატებულად იყენებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს. ელექტრონული გაყიდვების მხრივ ტურიზმი უსწრებს მრავალ სექტორს. ტურისტული ფირმებისათვის ინტერნეტი ხდება მნიშვნელოვანი საინფორმაციო და მარკეტინგული იარაღი.

- ბუნებრივი გარემოს, ისტორიული ადგილების, კულტურული ტრადიციების შესანარჩუნებლად მსოფლიოში გავრცელებული სტრატეგიაა ტურიზმის სექტორის განვითარება. კონსერვაციისთვის საჭირო რესურსების დეფიციტის პირობებში, კონსერვაციის პროგრამების დანერგვისთვის, ავითარებენ ტურიზმის ისეთ სეგმენტებს, როგორიცაა ეკოტურიზმი და კულტურული ტურიზმი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ ის ,რომ ტურიზმის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწორედ ჩამოყალიბებული ტურიზმის პოლიტიკა ,რომელიც თავის თავში მოიცავს სამოქმედო გეგმების და ღონისძიებების ერთობლიობას ,რომელიც მიმართულია მოცემული დარგის განვითარებისაკენ.აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი ,რომ ტურიზმის პოლიტიკა იყო დაბალანსებული და აუცილებელია ,რომ იყოს მომავალზე ორიენტირებული, დაბალანსებული და ყოვლისმომცველი, რამდენადაც ის აერთიანებს ტურიზმით დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციის წლებში მუდმივი მსჯელობის თუ კამათის საგანია რა როლის შესრულება შეუძლია ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიას ქვეყნის ეკონომიკაში. ეს შეფასებები ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია, იშვითად ეფუძნება კონკრეტულ გათვლებს. აქ ზუსტი დასკვნების გაკეთებას ართულებს ტურიზმის და მასპინძლობის სექტორის სპეციფიკა. ეკონომიკური შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ადეკვატური ინსტრუმენტები და მეთოდები . ცხადია, რთულია მომსახურების სექტორის წილის ზუსტი განსაზღვრა ეკონომიკაში, თუმცა, როგორც გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივანი აცხადებს, აშკარაა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას შორის დადებითი კორელაცია. სექტორი ცალსახად, დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ინდიკატორებზე, ასევე აღსანიშნავია მისი წვლილი „მწვანე“ განვითარებაში, კონფლიქტების მოგვარებაში, რეგიონულ, ურბანულ თუ სხვა მომიჯნავე სექტორების განვითარებაში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების საკითხები. მეცნიერ-ეკონომისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ტურიზმის განვითარება. მეორე ნაწილის აზრით, ქვეყანამ უნდა გამოიყენოს გეოსტრატეგიული მდებარეობა და უნდა უზრუნველყოს სატრანზიტო და რეგიონული ჰაბის ფუნქციის შესრულება. აღნიშნული პროცესი არის ძალიან რთული და იგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ქვეყნის განვითარების ვექტორის ძიების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს კულტურული, მენტალური ფაქტორების გათვალისწინება, ასევე საზღვარგარეთ გამოყენებული სტრატეგიების შესწავლა.

ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლი მშპ-ში შეტანილი წვლილით, ადამიანთა ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე მისი ზეგავლენის ეფექტიანობით განისაზღვრება.წარმატებასა და წარუმატებლობაზე სასაუბროდ ერთგვარი საზომი ერთეული გვჭირდება. ყველაზე გავრცელებული საზომი არის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ ადამიანზე ანუ მშპ ერთ სულზე.

საქართველოში ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2014 სადაც მშპ მიმდინარე ფასებში არის 16,507 ,მლნ § ,2015 წელს ფიქსირდება მკვეთრი კლება. 2016 წლიდან არის ზრდის ტენდენცია .

მშპ გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის სექტორი ,რადგანაც ტურიზმი არის საქართველოს პრიორიტეტული დარგი და წლების მანძილზე ვითარდება ტურიზმის პოლიტიკა რაც გამოიხატება იმაში ,რომ 2018 წლის მონაცემებით ტურიზმის წილი საქართველოს მშპ - ში არის 7,6 % ,რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის სექტორი. 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საგარეო

სექტორის აქტივობის, კერძოდ კი საექსპორტო შემოსავლების,ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების, მატების კუთხით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს მხოლოდ 7.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დადებითი იყო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე პოზიტიურად მოქმედებდა მომსახურებით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება, რომელიც 2018 წელს 220 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული შემოსავლების 518 მლნ აშშ დოლარით (19 პროცენტი) ზრდა. ტურიზმის სექტორი საქართველოს ბიუჯეტში დეფიციტის შევსების უმნიშვნელოვანესი წყაროა ,რომელსაც მოწმობს საქართველოს ყოველწლიური საგადასახადო ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც სისტემური სახით ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანზაქციებს (კვარტალი, წელი). სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება: მიმდინარე ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშისაგან. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელითა და მომსახურებით ვაჭრობის ბალანსს, პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავალების ბალანსებს. კაპიტალის ანგარიშში აისახება: არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა/გაცემა და კაპიტალური ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ მოახდინა. მომსახურების ფარდობამ მშპ-თან 13.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურების დადებითი სალდო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 220 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 2.24 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა, უმეტესწილად, კვლავ ტურისტული შემოდინებების მაღალი მაჩვენებლით იყო გამოწვეული. ტურისტულმა შემოსავლებმა, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2018 წელს 3.22 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.1 პროცენტით აღემატება . ბოლო წლებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. ტურიზმი, რომ საქართველოს ბიუჯეტის პრიორიტეტული დარგია ამის თვალსაჩინოდ განვიხილოთ 2018 წლის საგადასახადო ბალანსი. განმაპირობებელი ფაქტორებიდან და მაკროგარემოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო შესაძლებელია ოპტიმალური პასუხიც იყოს მაკრო გარემოს არსებული განვითარებისათვის. თუმცა მუდმივი/ხანგრძლივვადიანი უარყოფითი სალდო ეკონომიკისათვის გრძელვადიან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში ეკონომიკა არსებითად დამოკიდებული ხდება საგარეო კონიუნქტურაზე, რაც შესაძლოა ძლიერი მაკროეკონომიკური რყევების მიზეზიც გახდეს.

მომსახურების სფეროში მიღებული შემოსავლების დიდი წილი მოდის ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალით ,რომელმაც 2018 წელს შეადგინა 3,222 მლნ (აშშ დოლარი) რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოს ტურიზმის ისტორიაში ტურიზმის სფეროდან მიღებული შმოსავლების თვალსაზრისით. ბოლო წლების განმავლობაში ტურისტების რაოდენობამ საგძნობლად მოიმატა საქართველოსში ამას მოწმობს ის , რომ ყოველწლირად იზრდება ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი , ეს ყველაფერი გამოიწვია სწორი ტურისტული პოლიტიკის განვითარებამ. ტურიზმი , რომ ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული და მაღალშემოსავლიანია დარგია ამას მოწმობს სხვადასხვა კვლევები და შესაბამისად კვლევების საფუძველზე შემდგარი სტატისტიკური მონაცემები.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ასევე შეაჯამა 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემები.ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით 2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში ტურისტული

ვიზიტების რაოდენობა 882 130 იყო, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 42 590-ით მეტია. განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება საჰაერო გზით განხორციელებულ ვიზიტებში,რაც გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს 2,8% -ით მეტია. საერთო ჯამში კი 2019 წლის 3 თვეში საქართველოში 1 617 548 საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტი შედგა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.2% -ით მეტია. რაც შეეხება საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებს 2019 წლის იანვარ-თებერვალში 334 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15 მილიონით მეტია.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს. უნიკალური ბუნებრივი რესურსები და მიმზიდველი ტურისტული მარშრუტები, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლები ქმნის წინაპირობას _ საქართველო გახდეს ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი საუკეთესო მიმწოდებელი ბაზარზე.

საქართველოსთვის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე გასვლის და ინტეგრირების აუცილებლობა, რაც ქვეყნისთვის სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და ცხოვრების დონის ზრდის საფუძველს შექმნის, ამ სფეროში თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებების დამუშავების არასაკმარისობა, გადაუჭრელი პრობლემების არსებობა, რომელთა მიმართ ჯერჯერობით არ არის შემუშავებული პრაქტიკული მიდგომები _ ეს არის საკითხები, რომლებიც განაპირობებს წინამდებარე კვლევის აქტუალობას.

საერთაშორისო ტურიზმს სასიცოხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკომონიკის განვითარების თვალსაზრისით ,რადგანაც საერთაშორისო ტურიზმის მეშვეობით ქვეყანაში შემოედინება უცხოური ვალუტა , რომელიც მნიშვნელოვანია ინფლაციური მოვლენების თავიდან ასაცილებლად.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2018 წელს გაზრდილია საერთაშორისო ვიზიტების რიცხვი , რომელმაც 2018 წელს 8 679 544 მლნ ადამიანს მიაღწია, რაც 2017 წელთან შედარებით 777 035 ათასი ადამიანით მეტია და პროცენტულად ,რომ ავსახოთ ეს ყველაფერი 9,8 % მეტია წინა წელთან შედარებით.აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი,რომ 8 679 544 მლნ ადმიანიდან 1 476 194 მლნ იყო სხვა ვიზიტები (არატურისტული) ჯამში საერთაშორისო ვიზიტებს , რომ გამოვავაკლოთ სხვა ვიზიტება გვრჩება 7 203 350 მლნ ადამიანი აქედან ტურისტული ვიზითი იმყოფებოდა საქართველოში 4 756 820 მლნ ,ხოლო დანარჩენი 2 446 530 მლნ იყო ერთღიანი ვიზიტით.

საერთაშორისო მოგზავრობის კლასიფიკაცია შემდეგ გვარად წარმოგვიდგება : საერათაშორისო მოგზაურების ვიზიტები = საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები + სხვა (არატურისტული) ვიზიტები.

- ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შემდეგი მეთოდი გამოიყენება, ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები იყოფა ორ კატეგორიად ესენია :ტურისტული ვიზიტები და ერთდღიანი ვიზიტები. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) ტურისტული ვიზიტების ცნების ქვეშ მოისაზრება ტურისტი , რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე და ერთდღიან ვიზიტებში მოისაზრება ვიზიტორი ,რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

(არატურისტული) ვიზიტები- მოიცავს ყველა იმ ვიზიტს,რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორიცელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 14 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში). (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

2018 წლის მონაცემებს თუ შევადრით წინა წლის მონაცემს დავინახავთ , რომ ცვლილება საგძნობლად დიდია და ის შეადგენს 777 035 ვიზიტორს 9,8 % -ს თუ იმავე წლების მონაცემებში განვიხილავთ ტურისტულ ვიზიტებს ჭრილში 2018 წლის მონაცემებით 687 466 ვიზიტორით მეტია 2017 წელთან შედარებით , რაც 16,9 % -ით მეტია წინა წელთან შედარებით.

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია მთავრობის მიერ ერთერთ პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული. იგი დასაქმებისა და უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და მის მიმართ ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. თუმცა როდესაც ტურიზმის განვითარებაზე საუბრობენ ყოველთვის საერთაშორისო მოგზაურებზე კეთდება აქცენტი, შიდა ტურიზმის განვითარება კი უგულვებელყოფილია. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტურიზმის სტრატეგია 2025, სადაც შიდა ტურიზმის განვითარებას აშკარად მეორეხარისხოვანი როლი აქვს მინიჭებული. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურისტული ვიზიტების უმრავლესობა სწორედ შიდა ტურისტულ ვიზიტებს წარმოადგენს. მკვლევართა მიერ დაანგარიშებული იქნა შიდა ტურისტების დანახარჯები, რომელიც საერთაშორისო მოგზაურების დანახარჯებზე ათჯერ უფრო მეტია.

შიდა ტურიზმი - საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში.(საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ-1997 წელი).

მსოფლიოში შიდა ტურიზმის გაზომვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. საქართველოში იმისათვის,რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია,ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს. თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს, სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული. ისტორიულად შიდა ტურიზმი არის ფაქტობრივად ტურიზმის პირველი ფორმა, რომელიც დღესდღეობით ითვლის ტურიზმის სექტორში განხორციელებული აქტივობების უმრავლესობას.

საერთაშორისო ტურიზმთან ერთად შიდა ტურიზმის განითრებაც მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ამ აზრის გსამყარებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შიდა ტურიზმის დადებითი მხარეების ანალიზი:

- ✓ რეზიდენტები იღებენ სოციალურ და კულტურულ სარგებელს საკუთარი ქვეყნის სიმდიდრეებისგან.
- ✓ კარგად დაგეგმილი და სწორად მიწოდებული შიდა ტურისტული ღონისძიებები ამაღლებს ცხოვრების დონეს ქვეყანაში.
- ✓ მოგზაურები ერთმანეთში ცვლიან იდეებს და გამოცდილებებს, რაც ხელს უწყობს ტურისტული ეთიკის ჩამოყალიბებას.
- ✓ შიდა ტურიზმი არის საშუალება ვალუტის გადინების შესამცირებლად, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში დაიხარჯებოდა გამყვან ტურიზმზე.
- ✓ შიდა ტურიზმი ახდენს სიმდიდრის გადანაწილებას ქვეყნის შიგნით შედარებით მდიდარი რეგიონიდან ნაკლებად მდიდარი ტურისტული ადგილებისკენ.
- ✓ შემომყვანი ტურიზმის სეზონური არასტაბილურობის დაბალანსება შესაძლებელია შიდა ტურიზმის წახალისებით, შედარებით არასეზონურ პერიოდში.

შიდა ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაში, როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს მასშტაბით.

2018 წელს შიდა ტურიზმის დანახარჯების წილმა მსოფლიოში ტურიზმის მთლიან გამოშვებაში 71.2% შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ტურიზმის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 28.8% იყო. 2018 წლის შიდა მოგზაურობის ძირითადი მიზნები პროცენტულად შემდეგნაირად იყოფა : შიდა ვიზიტების უმრავლესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად (51.8%) განხორციელდა. ვიზიტების შედარებით მცირე რაოდენობა დაფიქსირდა შოპინგის (13.3%) და მკურნალობა, გაჯანსაღების (10.5%) მიზნით ; ხოლო 9.1% შეადგენდა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს ; (7.3 %) მეორე სახლის მონახულება ;(4.4 %)პროფესიული ეკონომიკური საქმიანობა ; (1.6 %) რელიგია,მომლოცველობა ; (0.5 %) განათლების მიღება და 1.5 % სხვა.

ყველაზე დიდი მაჩვენებელი დასვენება ,გართობა რეკრეაციის კუთხით გააჩნია აჭარის რეგიონს.აუცილებელ აღნიშვნას საჭიროებს აჭრის ტურიზმის პოლიტიკა ,რადგანაც 2019 წელს ბათუმი World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა. ტურიზმის

ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე ბათუმმა ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტული მიიღო და ისეთ მნიშვნელოვან ნომინანტებზე კონკურენტებზე მოიპოვა გამარჯვება, როგორებიცაა სოფია (ბულგარეთი), მატერა (იტალია), ბაქო (აზერბაიჯანი), ლუბლიანა (სლოვაკეთი), კუტნა ჰორა (ჩეხეთი), მოსტარი (ბოსნია ჰერცეგოვინა) და დერი (ჩრდილოეთ ირლანდია).აჭარის რეგიონს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ზღვის ტურიზმი აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. სუბტროპიკული კლიმატი, თბილი ზღვა, კეთილმოწყობილი სანაპიროები, ზღვისა და მთის შერწყმა – ეს ყველაფერი დასვენებისთვის უნიკალურ გარემოს ქმნის. სანაპირო ზოლის სიგრძე 21 კილომეტრია, ზღვის წყლის ტემპერატურა – საშუალოდ, +21-29 გრადუსი.

საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო ტურიზმთან ერთად აუცილებელი შიდა ტურიზმის განვითარება რაც ხელს შეუშლის გამსვლელი ტურისტული ნაკადების რაოდენობის გაზრდას და უფრო აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ ; საქართველოს კანონი საქართველოდან შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ ; საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ ; საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული განვითარების ხელშეწყობის შესახებ და საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ.

საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ- არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო სფეროში არსებულ ურთიერთობებს.

კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს: ტურიზმი; ტურისტი; სამკურნალო ტურიზმი; ტურისტული რესურსები;

ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსები; საკურორტო ადგილი; კურორტი; კურორტზე არსებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტი; სანიტარიული დაცვის ზონა; ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი (დარგის სუბიექტი); ტურისტული საქმიანობა; საკურორტო საქმიანობა; ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია; ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურების პაკეტი; ტურისტული საგზური (ვაუჩერი); ტური; არაორგანიზებული ტურისტი; შესაბამისობის სერტიფიკატი; შიდა ტურიზმი; ტუროპერატორი; ტურაგენტი; ექსკურსია, ექსკურსანტი, ექსკურსიამძღოლი; ტურისტული ლაშქრობა; ტურისტული მოგზაურობა.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საკურორტო რესურსებსა და მათით სარგებლობის ძირითად პრინციპებს.

კანონის 5–8 მუხლები ეხება ტურიზმისა და კურორტების დარგში სახელმწიფო პოლიტიკასა და სახელმწიფო რეგულირებას. მოცემულ მუხლებში განსაზღვრულია ტურიზმისა და კურორტების დარგის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები; ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი.

ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო; დარგის მართვის რეგიონული ორგანიზაციები; ტურისტული და საკურორტო საწარმოების მიერ ლიცენზიის აღების საჭიროება; დარგში მომსახურების სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების საკითხები; ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის ორგანიზების პრინციპები.

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს. ადგენს სანიტარიული დაცვის ზონების ზოგად წესებს; განსაზღვრავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სახეობებს, სანიტარიული დაცვის ზონების ტიპებს, რეჟიმებს, საზღვრებს; სანიტარიული დაცვის ზონების და პროექტების ძირითად პრინციპებს (საქართველოს 1998:).

საქართველოს კანონი საქართველოდან შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ- ეს

კანონი აწესრიგებს საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტებისა და ერთდღიანი ვიზიტიორების (შემდგომში ტურისტი) აღრიცხვას და სტატისტიკური მონაცემების ბანკის შექმნას, ხელს უწყობს დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ტურისტთა აღრიცხვა არის ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის კონტროლის, რეგულირებისა და დარგის სისტემური მართვის საშუალება. კანონის მოქმედების სფერო არის ყველა ტურისტის მიმართ, რომლებსაც აქვთ საქართველოში შემოსასვლელი ვიზა, ან რომელთა შემოსვლა ვიზის გარეშე დაშვებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც ტურისტებად მიემგზავრებიან საქართველოდან.(საქართველოს 1998 წელი) მოცემული კანონი მოქმედებს 1998 წლის პირველი ივნიდან დღემდე და მოცემულ პერიოდში განხორციელებული არის ერთი ცვლილება 2012 წლის 12 ივნის .მოცემულ ცვლილებაში საუბარია თუ ვისზე არ ვცელდება კანონის მოქმედების სფერო .ცვლილების თანახმად საუბარია , რომ ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს საპატიო მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებზე, იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, საერთაშორისო ავიახაზების ტრანზიტულ ტურისტებზე (მგზავრებზე), რომლებსაც არ აქვთ უფლება, დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია, საერთაშორისო სარეისო სატრანსპორტო ეკიპაჟების წევრებზე.

საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული განვითარების ხელშეწყობის შესახებ- ამ კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.კანონის მოქმედების სფერო - ეს კანონი ვრცელდება ქობულეთის, ანაკლიის, განმუხურისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ ტურისტულ ზონებზე, რომელთა კოორდინატებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.(საქართველოს კანონი 1998 წელი).

მოცემულ კანონში ასევე საუბარია საშეღავათო პირობებზე .საშეღავათო პირობების თანახმად ინვესტორი თავისუფლდება 15 წლით ქონების და მოგების გადასახადისაგან და მშენობლობის ნებართვის მოსაკრებელისაგან.ასევ საუბარი აღნიშნულ მუხლში ,რომ ინვესტორს მიწის ნაკვეთი გადაეცემა სიმბოლურ ფასად ერთ ლარად და ინვესტორის მიერ ამ კანონით დადგენილ ვადაში სასტუმროს მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო მას აძლევს 3 -თვიან დამატებით ვადას.ტურიზმის პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან კომპონეტს წარმოადგენს საკანონდებლო ბაზა , რომელიც აკონტროლებს ტურიზმის სფეროს.

2015 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 5,255,999 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 86.9% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების მიერ განხორციელდა. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ლიდერი ქვეყანაა სომხეთია 1,191,777 ვიზიტით, რაც 11.8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. მას მოსდევს აზერბაიჯანი 1,156,183, თურქეთი 1,074,065 და რუსეთი 763,019 ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე მეტი ვიზიტი 4,435,284 (ზრდა +3.8%) სახმელეთო გზით განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი სარფის 1,179,163 (-6.4%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს წითელი ხიდი 976,272 (-1.8%) და სადახლო 885,289 (+12.8%) ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა (31.4%) გართობა, დასვენება, რეკრეაციის მონახულების მიზნით განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეგობრების/ნათესავების მონახულება (23.5%), ტრანზიტი (18.9%), ბიზნესი/პროფესიული საქმიანობა (10.2%), შოპინგი (9.5%) და მკურნალობა (4.3%).

ვიზიტების მხოლოდ 2.2%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი.

2015 წელს საქართველოში 976,771 პირველადი ვიზიტი განხორციელდა.

მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 97.5%, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 93.1%, რუსეთი 82.4% და თურქეთი 70.8%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 55.7%; „სხვა ევროპა“ - 62.1%; „სხვა ქვეყნები“ – 55.9%)

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 3.4 ღამეს შეადგენს და ეს მაჩვენებელი განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 5.3 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 7.5 ღამე, სხვა ევროპა - 9 ღამე) და „სხვა ქვეყნების“ ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 9 ღამით რჩებიან.

საერთაშორისო ვიზიტების 47.4% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 30.7%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (12.3%), ყაზბეგში (5.2%), მცხეთაში (4.9%), რუსთავში (3.8%), ქობულეთში (3%), ახალციხეში (2.9%), ლაგოდეხსა (2.6%) და ქუთაისში (2.6%)

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია (მამრობითი – 68.6%; მდედრობითი– 31.4%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს (47.4%)

2015 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 17,725,492-ს შეადგენს.

მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (39.1%) მეგობრებისა და ნათესავების სახლში განხორციელდა, 25.7% სასტუმროში გაჩერდა. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (დამისთევების 13.2% ნაქირავებ ბინაში, ხოლო 12.2% კი სასტუმრო სახლში განხორციელდა)

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 4.06 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 772.1 ლარი.

დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯები 24.1%) და განთავსების საშუალებებზე (19.8%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (16.7%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 11.9% გასწიეს.

საერთაშორისო ვიზიტების 97.9%-ის შემთხვევაში ვიზიტორებს არ უსარგებლიათ ტურისტული პაკეტით. შეძენილი ტურისტული პაკეტით განხორციელებულ ვიზიტებში უცხოური და ქართული ტუროპერატოროების წილი 1.8% და 0.3% იყო. ჯამში 2015 წელს ტურისტული პაკეტის შესაძენად საერთაშორისო ვიზიტორებმა 220.6 მლნ. ლარი გადაიხადეს.

საერთაშორისო ვიზიტების 53.7%-ის შემთხვევაში ვიზიტორი ძალიან კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 35.8% - კმაყოფილი, ხოლო 0.7%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან).

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2016 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 2.3 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.1%) და ხელი შეუწყო 109 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.2%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან, 4.4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.6% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.

2016 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 5,392,816 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 81.9% მეზობელი

ქვეყნების რეზიდენტების ვიზიტები იყო. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ლიდერობს სომხეთი 1,152,234 ვიზიტით, მას მოსდევს აზერბაიჯანი 1,075,820, თურქეთი 988,312 და რუსეთი 849,265 ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 4,313,163 (კლება -2.8%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი 1,084,367 (-8%) სარფის სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს წითელი ხიდი 887,059 (-9.1%) და სადახლო 875,793 (-1.1%).

საერთაშორისო ვიზიტების 62.8% (4,069,354) საქართველოში ღამისთევას მოიცავს, რაც ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციის თანახმად ტურისტულ ვიზიტს ნიშნავს, ხოლო 37.2% ერთდღიანი ვიზიტები იყო (2,413,476).

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა (34%) დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის მეგობრების/ნათესავების მონახულება (23%), ტრანზიტი (18%), პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა (10%) და შოპინგი (9%). ვიზიტების მხოლოდ 1%-ის შემთხვევაში დასახელდა ვიზიტის სხვა მიზანი.

საერთაშორისო ვიზიტების 81% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 19%-ზე მეტი კი პირველადს. შესაბამისად 2016 წელს საქართველოში 1,047,998 პირველადი ვიზიტი განხორციელდა.

მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 99.1, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 97.3%, რუსეთი 78.5% და თურქეთი 75.4%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა-57.3%, „სხვა ევროპა"-59.9%, „სხვა ქვეყნები"-67%). ყველაზე მეტი ახალი ვიზიტი საქართველოში 2016 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში განხორციელდა (შესაბამისად 15.2% და 15.3%), ხოლო ყველაზე ნაკლები ახალი ვიზიტი (3.3%) კი თებერვალში დაფიქსირდა.

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 3.9 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 5.8 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 8.9 ღამე, სხვა ევროპა - 10.6 ღამე) და „სხვა ქვეყნების" ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 11.3 ღამით რჩებიან (ცხრილი 2).

ვიზიტორები ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით, 4.8 ღამით, ზაფხულის სეზონზე რჩებიან საქართველოში, ხოლო ყველაზე ხანმოკლე საშუალო ვიზიტი მარტში ფიქსირდება და ის მხოლოდ 2.8 ღამეს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტების 49% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 32%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (15%), ყაზბეგში (9%), მცხეთაში (5%), ქუთაისში (5%), სიღნაღში (3%), ახალციხეში (3%), ბორჯომსა (3%) და რუსთავში (3%)

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია (მამრობითი – 64%; მდედრობითი – 36%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს (46%).

2016 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 20,738,980-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (34%) მეგობრის/ნათესავის სახლში განხორციელდა, დაახლოებით ერთ მესამედი კი (32%) სასტუმროში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 4.4 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 812 ლარს.

საერთაშორისო ვიზიტების 33%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 55%-ძალიან კმაყოფილი, ხოლო 1%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეად-

გენდა (5-დან).

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (ჭთთჩ) მონაცემებით, 2017 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 2.6 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 118 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.5% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.

2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 6,482,830 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 79% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების ვიზიტები იყო. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ლიდერობს აზერბაიჯანი 1,301,556 ვიზიტით, მას მოსდევს სომხეთი 1,287,168, რუსეთი 1,135,057 და თურქეთი 1,007,276 ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტები ძირითადად ზაფხულში ხორციელდება - 2,234,946, (ივნისი: 531,224; ივლისი: 763,593; აგვისტო: 940,129) და მთლიანი ვიზიტების 34.5%-ს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 4,958,039 (ზრდა +15%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი თბილისის აეროპორტის 1,133,811 (+44.2%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს სარფი 1,101,317 (+1.6%) და ყაზბეგი 1,045,488 (+23.5%)

საერთაშორისო ვიზიტების 76% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 24%-ზე მეტი კი პირველადს. შესაბამისად 2017 წელს საქართველოში 1,572,085 პირველადი ვიზიტი განხორციელდა. მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 99.1%, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 94.5%, თურქეთი 75.6% და რუსეთი 71.4%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 57%; „სხვა ევროპა“ – 65%, „სხვა ქვეყნები“ – 72%). ყველაზე მეტი ახალი ვიზიტი საქართველოში 2017 წლის ივლისი - აგვისტოს პერიოდში განხორციელდა (შესაბამისად 15.6% და 17.4%), ხოლო ყველაზე ნაკლები ახალი ვიზიტი (3.4%) კი თებერვალში დაფიქსირდა.

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 4.3 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 6.1 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა-9 ღამე, სხვა ევროპა-10.4 ღამე) და „სხვა ქვეყნების“ ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 8.4 ღამით რჩებიან. ვიზიტორები ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით, 5 ღამით, ზაფხულის სეზონზე რჩებიან საქართველოში, ხოლო ყველაზე ხანმოკლე საშუალო ვიზიტი აპრილში ფიქსირდება და ის მხოლოდ 3 ღამეს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტების 50% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 30%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (14%), ყაზბეგში (8%), მცხეთაში (7%), გუდაურში (6%), ქუთაისში (5%), სიღნაღში (5%), ბორჯომსა (4%) და ქობულეთში (4%).

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (მამრობითი – 62%; მდედრობითი – 38%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა (46%).

2017 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 27,717,127-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (33%) მეგობრის/ნათესავის სახლში განხორციელდა, დაახლოებით ერთ მეოთხედზე მეტი კი (27%) სასტუმროში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ვიზიტორებს შორის ნაკლებად პოპულარულია (ღამისთევების 15% სასტუმრო სახლში, ხოლო 15% კი ნაქირავებ ბინაში განხ-

ორციელდა.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 5.8 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 889 ლარი შეადგინა.

საერთაშორისო ვიზიტების 34.8%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 54%-ძალიან კმაყოფილი, ხოლო 0.4%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან).

2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 7,203,350 შეადგინა. მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 77.3% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების ვიზიტები იყო. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ლიდერობს აზერბაიჯანი 1,424,610 ვიზიტით, მას მოსდევს რუსეთი 1,404,757, სომხეთი 1,268,886 და თურქეთი 1,098,555 ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტების 66% (4,756,820) საქართველოში ღამისთევას მოიცავდა, რაც ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციის თანახმად ტურისტულ ვიზიტს ნიშნავს, ხოლო 34% ერთდღიანი ვიზიტები იყო (2,446,530).

საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 5,314,984 (+7.2%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი თბილისის აეროპორტის 1,402,157 (+23.7%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს სარფი 1,296,833 (+17.8%) და ყაზბეგი 1,129,490 (+8%).

საერთაშორისო ვიზიტების 72.9% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 27.1% კი პირველადს. შესაბამისად 2018 წელს საქართველოში 1,949,053 პირველადი ვიზიტი განხორციელდა. მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. განმეორებითი ვიზიტი ყველაზე ხშირ ხასიათს სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში ატარებს 99.1%, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 95.6%, თურქეთი 71.4% და რუსეთი 66%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმეტესობა საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 58.7%; „სხვა ევროპა“ – 60.6%, „სხვა ქვეყნები“ – 71.4%).

ყველაზე მეტი ახალი ვიზიტი საქართველოში 2018 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში განხორციელდა (შესაბამისად 14.9% და 17.6%), ხოლო ყველაზე ნაკლები ახალი ვიზიტი (3.3%) კი თებერვალში დაფიქსირდა.

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 4.2 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 6.3 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 7.7 ღამე, სხვა ევროპა - 8.3 ღამე) და „სხვა ქვეყნების“ ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 7.2 ღამით რჩებიან. ვიზიტორები ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით, 5 ღამით, სექტემბრის თვეში რჩებიან საქართველოში, ხოლო ყველაზე ხანმოკლე საშუალო ვიზიტი ნოემბერში ფიქსირდება და 3.2 ღამეს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტების 52.3% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოჰყვება ბათუმი 29%-ით. დანარჩენ ქალაქებსა და ადგილებში შედარებით ნაკლები ვიზიტები დაფიქსირდა, მათ შორის: მარნეულში (11.7%), მცხეთაში (9.9%), ყაზბეგში (8.9%), გუდაურში (4.9%), სიღნაღში (4.8%), ქუთაისში (4.6%), თელავსა (3.7%) და ბორჯომში (3.4%).

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (მამრობითი – 60.3%; მდედრობითი – 39.7%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა (46.3%).

საშუალო ღამისთევების რაოდენობა ყველაზე დიდი საკუთარ სახლში იყო (8.2 ღამე), შემდეგ მოდის ნაქირავები ბინა (7.1 ღამე), საავადმყოფო (5.4 ღამე), მეგობრის/ნათესავის სახლი (5.1 ღამე), სასტუმრო სახლი (4.2 ღამე), სასტუმრო (3.9 ღამე) და კემპინგი (2.5 ღამე). ზაფხულის პერიოდში ვიზიტების 43% სასტუმროში განხორციელდა. ასევე ხშირი იყო მეგობრის, ნათესავის სახლში (21.6%) და სასტუმრო

სახლში (14.3%) განხორციელებული ვიზიტები.

2018 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 30,183,344-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (39.6%) სასტუმროში განხორციელდა, ერთ მეოთხედზე მეტი კი (26.5%) მეგობრის, ნათესავის სახლში.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 7.9 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,099.1 ლარი შეადგინა.

საერთაშორისო ვიზიტების 34.1%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 53.9% - ძალიან კმაყოფილი, ხოლო 1.5%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან).

2019 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 9,357,964 იყო, რაც წინა წელთან შედარებით 7.8%-ით მეტია.მათი უმრავლესობა (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 71.4% მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების ვიზიტები იყო. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით ლიდერობს აზერბაიჯანი 1,526,619 ვიზიტით, მას მოსდევს რუსეთი 1,471,558, სომხეთი 1,365,048 და თურქეთი 1,156,513 ვიზიტით.

საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 5,775,983 (+8.7%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი თბილისის აეროპორტით 1,355,626 (-3.3%%) განხორციელდა, მას მოსდევს სარფი 1,355,489 (+4.5%) და ყაზბეგი 1,256,631 (+11.3%)

საერთაშორისო ვიზიტების 65.8% (5,080,478) საქართველოში ღამისთევას მოიცავდა, რაც ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციის თანახმად ტურისტულ ვიზიტს ნიშნავს, ხოლო 34.2% ერთდღიანი ვიზიტები იყო (2,645,296)

საერთაშორისო ვიზიტების 73.8% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა საქართველოში, ხოლო 26.2% კი პირველადს. შესაბამისად 2019 წელს საქართველოში 340,540 პირველადი ვიზიტი განხორციელდა. მეზობელი ქვეყნის რეზიდენტების უმრავლესობისთვის საქართველოში ვიზიტი პირველი არ იყო. სომხეთის რეზიდენტების ვიზიტებში აბსოლიტური უმრავლესობა განმეორებითი ვიზიტი იყო, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი 94.6%, თურქეთი 72.2% და რუსეთი 71.8%. სხვა არამეზობელი ქვეყნის რეზიდენტების დიდი ნაწილი საქართველოს პირველად ეწვია (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა - 54.3%; „სხვა ევროპა“ – 57.4%, „სხვა ქვეყნები“ – 71.1%).

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 4.1 ღამეს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები საქართველოში შედარებით ხანმოკლე პერიოდით ჩერდებიან, რუსეთის რეზიდენტების გარდა, რომლებიც საქართველოში ხანგრძლივად, საშუალოდ 5.9 ღამით რჩებიან. ვიზიტის ხანგრძლივობით ასევე გამოირჩევიან ევროპელები - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა-7.9 ღამე, (სხვა ევროპა-7.8 ღამე) და „სხვა ქვეყნების“ ვიზიტორები. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები საქართველოში საშუალოდ 8.5 ღამით რჩებიან.

ვიზიტების უმეტესობა 54.6% რეგიონულ დონეზე თბილისში განხორციელდა, შემდეგ მოდის აჭარა 30.2%, ქვემო ქართლი 17% და მცხეთა-მთიანეთი 16.9%. დანარჩენი რეგიონებიდან ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში 6.6%, კახეთსა 5.5% და იმერეთში 4.9%.

ვიზიტორების უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო (მამრობითი – 60.8%; მდედრობითი – 39.2%). 31 – 50 წლის ასაკობრივი კატეგორია საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენდა (46.4%)

2019 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 31,741,402-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე მეტი ღამისთევა (34.2%) სასტუმროში განხორციელდა, დაახლოებით 22.9% მეგობრის / ნათესავის სახლში და 17.8% კი ნაქირავებ ბინაში.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამურმა მაჩვენებელმა 8.5 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,102 ლარი შეადგინა.

საერთაშორისო ვიზიტების 37.3%-ის შემთხვევაში ვიზიტორი კმაყოფილი იყო განხორციელებული ვიზიტით, 53.5%-ძალიან კმაყოფილი, ხოლო 0.2%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.4-ს შეადგენდა (5-დან)

კორონა ვირუსი (ჩ VI -19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. ინფიცირებულთა სწრაფად მზარდმა რაოდენობამ და ვირუსის გავრცელების ფართო არეალმა 2019 წლის მიწურულს ვუჰანში გაჩენილი ვირუსი სულ რამდენიმე თვეში პანდემიად აქცია. მსოფლიო ეკონომიკაზე ჩ VI -19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა. თუმცა კითხვები ჩ VI -19-ის ზეგავლენის მასშტაბსა და ხარისხზე ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში , პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77§ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347§ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას თქმით, მხოლოდ ერთ თვეში ჩინეთსა და ირანთან პირდაპირი ავიამიმოსვლის შეჩერებამ საქართველოში გამოიწვია დაახლოებით 30 მილიონი ლარის ზარალი. ამ განცხადების შემდეგ ავიამიმოსვლა შეწყდა ევროკავშირის ქვეყნებთანაც. მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებულია, ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც ჩ VI -19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გადაიღვრება.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს. ჩ VI -19-ის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონიებს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (ჭთ) გამოქვეყნებული ანალიზის თანახმად, რომელიც 2003 წელს შ ღშ-ის გავრცელების სცენარს განიხილავს, როგორც პოტენციურ მოდელს, მსოფლიო ტურიზმი მოგზაურების 1-3%-იან შემცირებას უნდა ელოდოს მაშინ, როდესაც წინასწარი პროგნოზებით ვიზიტორების რაოდენობა 3-4%-ით უნდა გაზრდილიყო. ეს კი მსოფლიო ტურიზმს §30-50 მილიარდამდე ზარალს მიაყენებს. მსოფლიო ტურიზმის კრიზისი საქართველოზეც მოახდენს გავლენას. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, თებერვლის თვეში უკვე შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0.7%-ით წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა გაიზარდა ტურისტულ ვიზიტორთა რაოდენობა 4%-ით. აღსანიშნავია, რომ 161.5%-იანი ზრდა შეინიშნებოდა თებერვლის თვეში ესტონეთიდან ჩამოსულ ტურისტებზე. ტურისტული ნაკადის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც: პოლონეთი (84.8%), იტალია (81.2%), საფრანგეთი (52.4%) და გერმანია (38%). რაც შეეხება უკანასკნელი წლის სტატისტიკას: ევროკავშირიდან და ირანიდან შემოსული ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. 2019 წელს შემოსულ ვიზიტორთა სრული რაოდენობის 6.28%-ს შეადგენდნენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები. ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 26%-ით მეტი იყო. ირანელი ვიზიტორების წილი შედარებით მცირე იყო, თუმცა საერთო ვიზიტრების 1.52%-ს შეადგენდა. 2019 წელს ირანელი ვიზიტორების რიცხვმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა 2018 წელთან შედარებით და 51.2%-ით შემცირ-

და, რაც სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებითა და ირანის ეკონომიკური სტაგნაციით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზეა გავრცელებული, მათ შორის მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზეც, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. სამოგზაურო შეზღუდვები და ჩაკეტილი საზღვრები საქართველოს ტურისტულ სექტორს დააზარალებს და, სავარაუდოდ, შეანელებს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს.

ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ.

სამეგრელო-ზემო-სვანეთი, საქართველოს უმშვენიერესი რეგიონი მდებარეობს ქვეყნის დასავლეთით. კოლხეთის ბარიდან, სადაც შავი ზღვის საზაფხულო საკურორტო ზონაა, კავკასიონის ყველაზე მაღალ და ალპინისტებისათვის ძნელად დასალაშქრ სვანეთის მწვერვალ "უშბამდე" – მხოლოდ 80 კილომეტრია, ხოლო მსოფლიოში ცნობილ ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებულ სოფელ უშგულამდე /მესტიის მუნიციპალიტეტი/ - 120 კილომეტრი.

არგონავტების თქმულების წერილობით წყაროებში ძვირფასი მასალაა დაცული ქართულ ტომთა დასავლეთ გაერთიანების – აიას, ანუ კოლხეთის შესახებ, მის დიდებასა და ბრწყინვალებაზე. გადმოცემულია ცნობები ძველ ქართულ ტომთა ეთნოგენეზის, მათი დიდ ტერიტორიაზე გავრცელების, ცხოვრების პირობების, პანთეონისა და სხვათა შესახებ. აპოლონიოს როდოსელის /ძვ.წ. III საუკუნე/ "არგონავტიკაში" დამოწმებულია კოლხეთის სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტები. აღნიშნული ცივილიზაციების უტყუარი წყაროა ციხე-გოჯი "არქეოპოლისი" – ქუჯისა და ფარნავაზის მითის ცოცხალი წყარო.

აქ, დადიანების სასახლეშია დაბრძანებული ღვთისშობლის კვართი. ცნობები ზუგდიდის მუზეუმში დაცულ სიწმინდეთა შესახებ უხვადაა დაცული უცხოელ ავტორთა თხზულებებში-ესენია წმინდა კვირიკესა და წმინდა მარინეს მკლავები. არქანჯელო ლამბერტი პირდაპირ მითითებას იძლევა წმინდა ნაწილების სამეგრელოში დაბრძანების. ზუგდიდი - სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონული ცენტრია. ქვეყნისათვის თავგანწირული გმირისა და ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული პიროვნების ცოტნე დადიანის ქალაქი. დადიანები იყვნენ მთავრები ფეოდალურ საქართველოში, აქ იყო უკანასკნელი ქართული სამთავრობო ცენტრი, რომელიც შენარჩუნებული იყო მეფის რუსეთის ხელისუფლების პერიოდშიც. დადიანების სამთავროში შექმნილი იყო კულტურული გარემო, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი და ევროპელი მოღვაწეები, ეს იყო იმ პერიოდში ერთადერთი ევროპულ ცივილიზაციასთან "გაჭრილი ფანჯარა". ევროპულ კულტურასთან თანაზიარობის მრავალი დოკუმენტი ინახება დადიანების სასახლეში- უნიკალური ფრანგული, ინგლისური და იტალიური სხვადახვა ჟანრის ლიტერატურა, პარტიტურები, ცნობილ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები, ავეჯი, ჭურჭელი, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები.

განსხვავებული და მრავალფეროვანია სამეგრელო-ზემო სვანეთის ბუნება და ჰავა, სუბტროპიკული ზონის შავი ზღვის კურორტებიდან რამდენიმე საათში შეგიძლია მოხვდე მთის მწვერვალების ალპურ ზონაში. კოლხეთის ზურმუხტოვანი ბარი და სამეგრელოს მარადმწვანე მთები, კონტრასტული ლანდშაფტებით მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქალაქ ფოთის მიდამოებში, რომელიც თანამედროვე ქართული ეკონომიკის სტაბილურობისა და განვითარების სერიოზული წერტილია აბრეშუმის გზაზე გამავალი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტით, უძველესი ფაზისის არსებობას ანტიკური ხანის ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონიც ადასტურებს. "ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხების ემპირიონი, რომელსაც წინ უძევს მდინარე, ტბა და ზღვა" უმშვენიერესი "კოლხეთის პარკი" www.knp.ge უძველეს და ისტორიულ ქა-

ლაქ ფოთთან, დაუვიწყარ დასვეენებას სთავაზობს ადგილობრივ თუ ჩამოსულ სამეგრელო_ზემო-სვანეთის ტერიტორიაზე ასეულობით ხუროთმოძღვრული ძეგლია აგებული: საკულტო შენობები, ეკლესია-მონასტრები, სათავდაცვო თუ სამეურნეო ნაგებობები. ხოლო შუასაუკუნეობრივი აღმშენებლობა უმთავრესად საეკლესიო ნაგებობითაა წარმოდგენილი. უძველეს მონასტერთა შორის აღსანიშანავია მარტვილ-ჭყონდიდის მონასტერი, რომელიც X საუკუნეში ქართული ეკლესიის ერთ-ერთ ბურჯად აქცია აფხაზთა მეფე გიორგი მეორემ, ხოლო ბაგრატ მეოთხემ ჭყონდიდი სამოღვაწეო კათედრად მიუჩინა გიორგი მთაწმინდელს. "ქართლის ცხოვრების" ცნობით ბაგრატ IV მარტვილის მონასტერშია დამარხული.

მარტვილში, სალხინო-თარგამოულის და ბანძის მიკროზონებში აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიში ოჯალეშისგან მზადდება ბუნებრივად ტკბილი და მშრალი, ჯიშური დასახელების უნიკალური ღვინო "ოჯალეში". XIX საუკუნეში სამეგრელოს მთავრის სიძეს, ფრანგ მიურატს სოფელ სალხინოში დამზადებული ოჯალეში გაუგზავნია პარიზში საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსზე, სადაც იგი უმაღლესი ჯილდოთი "გრან-პრით" დაუჯილდოებიათ.

სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი,რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორიცაა კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება - ლანდშაფტური მოზაიკა და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის.

ტურისტული თვალსაზრისით, უნიკალურ ობიექტს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც სამეგრელოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და რომლის სახმელეთო ნაწილის ფართობი 28571 ჰა-ს, ხოლო ზღვის აკვატორია - 1574 ჰა-ს შეადგენს. 1996 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკს რამსარის კონვენციით საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი მიენიჭა. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი და სხვა ინფრასტრუქტურა (დაცულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურაა განთავსებული: პარკის ვიზიტორთა ცენტრი, ადმინისტრაციული შენობები, მცველთა თავშესაფრები, ფრინველთა სათვალთვალო და დარგოლვის ცენტრი, საინტერპრეტაციო დაფები, საინტერპრეტაციო ჯიხურები, ნავმისადგომები, შესასვლელები, ტურისტული ბილიკები) საგანგებოდ ისე დაპროექტდა, რომ მისი მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალა და ტექნოლოგიები უვნებელი ყოფილიყო გარემოსა და იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მის დასათვალიერებლად მოდიან. პარკს კარგი პერსპექტივა აქვს ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მასობრივი მიგრაციის პერიოდში, აქ მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვებაა შესაძლებელი, პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ფრინველთა სათვალთვალო კოშკები, ხოლო ტურისტთა განთავსება შესაძლებელია როგორც ეროვნულ პარკში არსებულ ვიზიტორთა სახლში, ისე ფოთის, გრიგოლეთისა და ანაკლიის სასტუმროებში. სანაპირო დიუნების და იმნათის ტორფნარის გასწვრივ შემუშავებულია ფეხით სავალი მარშრუტები, თუმცა, ჭარბტენიანი ტერიტორიების დათვალიერების საუკეთესო საშუალებას კატარღები და ნავები წარმოადგენს. კოლხეთის ეროვნულ პარკში ვიზიტს უფრო საინტერესოს ხდის მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური და კულტურის ძეგლები: ლაზიკის ძველი დედაქალაქი არქეოპოლისი (ჩვ.წ.აღ.მდე II-IX საუკუნეების წარწერებითა და ფრესკებით), მარტვილის სამონასტრო კომპლექსი, ხობის მონასტერი, ცაიშის ეკლესია, ხობის დედათა მონასტერი და კორცხელის მონასტერი. ეკოტურიზმის თანმდევი სახეების - სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა-განვითარების კარგ საფუძველს იძლევა ენგურის წყალსაცავი და მდინარის შუა

და ზემო წელი, აგრეთვე მარტვილის მღვიმეები და ტობავარჩხილის ტბები. მდ. ენგურზე არის შესანიშნავი პირობები სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისათვის.

ზემო სვანეთი საქვეყნოდ ცნობილი ბუნებრივი სილამაზის ადგილია, მას აქვს არაჩვეულებრივი ლანდშაფტი, რაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, სულ უფრო მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს.

რეგიონში გვხვდება, როგორც საზღვაო ისე სამთო-სათხილამურო კურორტები. აშენდა ჰაწვლის და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტები. ისინი კი ვინც უპირატესობას საზღვაო კურორტებზე დასვენებას ანიჭებენ შეუძლიათ ანაკლიასა და განმუხურში დაისვენონ. ახალი ბულვარი და დამხმარე ინფრასტრუქტურა შენდება ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლზე.

ზუგდიდის ტექნოპარკში სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ (DMO) რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია გამართა. DMO-ს ხელმძღვანელის ლევან წულაიას თქმით, ეს არის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა,რის მიხედვითაც სამეგრელოში ტურიზმი სამი მიმართულებით, ანტიკური კოლხეთის რევიტალიზაცია, ბუნება და თავგადასავლები და გასტროტურიზმის მიმართულებით უნდა განვითარდეს.

ანტიკური კოლხეთის რევიტალიზაცია მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორიცაა: ტურისტული პროდუქტების განვითარება;კოლხურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ძეგლებისა და არტეფაქტების გაცნობა/გაცოცხლება;საგამოფენო სივრცეების მოწყობა (წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალა);კვების სივრცე (კოლხური ტრადიციული სამზარეულო);კოლხური ნავების მშენებლობა და გამოყენება ტურისტულ ინდუსტრიაში;-გასართობი ცენტრების მოწყობა;კულტურული ტურების განვითარება; კოლხური სილამაზის რეცეპტების აღდგენა.

გასტროტურიზმის განვითარება გულისხმობს:აჯიკის სახლის მოწყობას; ვიზიტს ადგილობრივ მეწარმეებთან (ენდემური სახეობების წარმოების ტექნოლოგების გაცნობა და პროდუქციის დაგემოვნება);ვიზიტს ადგილობრივ ბაზარში;სხვადასხა ფესტივალის მოწყობა.

ბუნება და თავგადასავლები: ცხენოსნობა; კაიაკინგი; რაფტინგი; ჰაიკინგი; ველოტურიზმი; კანიონინგი.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია მოწვეული ექსპერტის მიერ, სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის თანამონაწილეობით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ს ტურიზმის მიმართულების გუნდის აქტიური ჩართულობით. მისი მიზანია ისეთი გზამკვლევი დოკუმენტის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის მდგრად განვითარებას და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდას.

პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამეგრელოს რეგიონში ახალი და ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შემუშავება, ახალი და არსებული ტურისტული ობიექტებისა და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაცია.

DMO არის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის,საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ის თანამშრომლობით შექმნილი ორგანიზაცია, რომლის მიზანია სამეგრელო-ზემო სვანეთში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტები.

დასკვნა

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს XX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი,რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა,

როგორიცაა კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება - ლანდშაფტური მოზაიკა და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
2. https://gnta.ge/ge/publications

Trends in tourism development in Georgia. Samegrelo-Zemo Svaneti

Murman Bliadze, professor of GTU
Murman Bliadze, Master of Gtu

Summary

The development of tourism in Georgia begins at the turn of the XIX-XX centuries. In fact, it has been on a large scale since the second half of the twentieth century, especially in the post-World War II years. During this period, well-equipped tourist bases and hotels in Tbilisi, Sukhumi, Batumi, Kutaisi, Vardzia and others were put into operation. The process of tourism reconstruction has started in Gagra, Kobuleti, Abastumani, Tskaltubo and others. Samegrelo-Zemo Svaneti has a high potential for the development of tourism as an important economic sector, which is due to a combination of factors such as the ancient culture of Kolkheti and Svaneti, unique cultural and historical monuments, museums, caves and caves, rafting and picnic sites. Rare nature, geographical features of the region - landscape mosaics and biodiversity, Upper Svaneti glaciers, Black Sea waters and developing resort areas. All these create special conditions for different types of tourism (road, horseback riding, hiking, ecotourism, sea-navigation, river-navigation, hunting tourism, amateur fishing, bird watching, agro-tourism, cognitive tourism, tourism and other tourism